

**კულტურული მემკვიდრეობის როლი და მნიშვნელობა
მსოფლიო ტურიზმის განვითარებაში**

ტურიზმი თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთი წამყვანი და დინამიური დარგია. განვითარების სწრაფი ტემპისა და ფართო მასშტაბების გამო იგი XX საუკუნის ფენომენად აღიარეს. ტურიზმს განსაკუთრებული ადგილი უკავია ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების სისტემაში. იგი ხელს უწყობს არამარტო ეკონომიკის განვითარებას, არამედ გვევლინება საზოგადოების სოციალურ-კულტურული აქტივობისა და ურთიერთობების ყველაზე მასობრივ და ცივილიზებულ ფორმად. ამასთან ტურიზმი წარმოადგენს ინტეგრირებულ სოციალურ-ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მზარდ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების მატერიალურ და სულიერ ცხოვრებაზე.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ტურიზმი სამეცნიერო ინტერესის საგანს წარმოადგენს. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანას ტურიზმის მრავალი სახეობის განვითარების შესაძლებლობა გააჩნია. ზოგადად თანამედროვე ტურიზმის სახეობებისა და მიმართულებების კლასიფიკაციისათვის საჭიროა გათვალისწინებული იყოს ტურისტთა გადაადგილების მიმართულება, მოგზაურობის მიზანი, გადაადგილებისა და განთავსების საშუალებები, მოგზაურთა რაოდენობა, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმები და სხვა არსებითი საკითხები.

ყოველი ტურისტული რეგიონი, ქვეყანა, ქალაქი ისწრაფვის რაციონალურად გამოიყენოს არსებული ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები ეკონომიკური მოგებისა და შემოსავლების ზრდის მიღების მიზნით. ტურისტული რესურსების ეფექტური გამოყენებისა და ტურისტების მისაღებად აუცილებელია მათი ცხოვრების წესის, ეროვნული ხასიათის თავისებურებების, ტურისტული ინტერესის ობიექტების ადეკვატურად აღქმის შესაძლებლობის შესწავლა.

ყოველივე აქედან გამომდინარე ტურიზმი მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო სხვადასხვა რეგიონის და ქვეყნის ისტორიის, ეკონომიკის, ტრადიციების და კულტურის ურთიერთგაზიარებასა და გამდიდრებაში, არამედ ერებს შორის ურთიერთპატივისცემის, დახმარებისა და მეგობრობის ჰუმანური გრძნობების გაღვივებასა და დამკვიდრებაში. ამ მხრივ აღსანიშნავია სხვადასხვა ხალხის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობა და შესწავლა.

მემკვიდრეობის ცნება ჩვენს დროში აქტიურად ინერგება სამეცნიერო ლექსიკონსა და თანამედროვე საზოგადოების ცხოვრების ფუნქციონალური კატეგორიის სისტემაში. ამ ცნებას სულ უფრო ფართოდ იყენებენ პოლიტიკოსები და სახელმწიფო მოღვაწეები, კანონმდებლები, მკვლევარები და აკადემიური სტრუქტურები. ეს ცნება უფრო აქტიურად გამოიყენება საზღვარგარეთის ქვეყნებში. ამ ცნების გამოჩენის სინქრონულობა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ინოვაციური კატეგორიის როლში უფლებას გვაძლევს შევხედოთ ამ მოვლენის კანონზომიერებას. მემკვიდრეობა თავის თავში აერთიანებს ისეთ კატეგორიებს, როგორცაა ისტორიული შენობები და ნაგებობები, აგრეთვე ადგილობრივი სასოფლო ფასეულობები და ყოველივე ეს მიეკუთვნება კულტურული პოლიტიკის სფეროს, ხოლო შემდგომში გავრცელდა ეკოლოგიური პოლიტიკის სფეროზე. სახელდობრ მემკვიდრეობა ასეთი გაგებით XIX საუკუნეში გახდა განსაკუთრებული საზოგადოებრივი ყურადღების და ზრუნვის ობიექტი მთელ რიგ ევროპულ ქვეყნებსა და ჩრდილოეთ ამერიკაში.

1844 წელს ნორვეგიაში დაარსდა, როგორც ჩანს მსოფლიოში პირველი მემკვიდრეობის დაცვის ნაციონალური საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მისი ანალოგიური ორგანიზაცია - პირველი ახალ მსოფლიოში - იქმნება 45 წლის შემდეგ აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში, რეგიონში, რომელიც გაჯერებულია ახალგაზრდა, მაგრამ მეტისმეტად ამბიციური ერის ისტორიის ძეგლებით. ამ

ორგანიზაციამ გამოაცხადა მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების მიმართ საიმედო მიდგომა. მაგრამ ასეთმა მიდგომამ მემკვიდრეობის ობიექტების დიდი სიმჭიდროვის გამო ნაყოფიერი ნიადაგი უფრო მეტად ევროპაში ჰპოვა. 1895 წელს ბრიტანული ისტორიული ღირსშესანიშნაობების დაცვის ორგანიზაციის სამმა წევრმა რ. ხანტერმა, ო. ხილმა და ხ. რონსლიმ შოტლანდიასა და ირლანდიაში დაარსეს ინგლისური ნაციონალური ტრასტი (The National Trust) ორი რეგიონული კომიტეტით, რომლებიც დროთა განმავლობაში გახდნენ დამოუკიდებელი ნაციონალური ტრასტები. მოკლე დროში ეს ორგანიზაციები, რომლებმაც მიიღეს სახელმწიფოს დახმარება, გახდნენ ყველაზე მასობრივი და ამავე დროს ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციები ბრიტანეთის კუნძულებზე.

ამერიკული და ბრიტანული ტრასტების მაგალითი გახდა იმდენად მიმზიდველი, რომ მსგავსი ორგანიზაციები იწყებენ აქტიურ დაარსებას ევროპაში, ავსტრალიასა და ოკეანეთში, სამხრეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მსოფლიოში მემკვიდრეობის დაცვისა და გამოყენების პირველი ნაციონალური ტრასტების მოღვაწეობაში წარმატებამ ხელი შეუწყო თვითონ მემკვიდრეობის ცნების პოპულარიზაციას და საერთაშორისო დონეზე მისადმი უფრო მეტ ყურადღებას.

საერთაშორისო პრაქტიკაში პირველად მსოფლიო ისტორიისა და კულტურის ფასეული ობიექტების დაცვაზე სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი დასმულ იქნა ჰააგის (ნიდერლანდები) ორივე მსოფლიო კონფერენციის მუშაობის ჩარჩოებში (1899 და 1907 წლები), რომელიც როგორც ცნობილია მოწვეული იქნა რუსეთის ინიციატივით. მაშინ პირველად იქნა აღიარებული სამხედრო მოქმედებებისაგან ძეგლების დაცვის აუცილებლობა. სწორედ მაშინ გამოჩნდა სამეცნიერო იდეებისა და წარსულის ძეგლების დაცვაზე რეკომენდაციების უქონლობა და მათზე მწვავე მოთხოვნა. სწორედ იმ პერიოდში ფორმულირებულ იქნა სოციალური დაკვეთა კულტურული ფასეულობების, როგორც უმნიშვნელოვანესი სოციალური ფენომენის დაცვის თეორიის დამუშავებაზე და მისი პრაქტიკული გამოყენების შესახებ.

ჰააგის კონფერენციების მოწოდება მოსმენილ იქნა, პირველ რიგში, კულტურის მოღვაწეების პროფესიული ასოციაციების, უწინარეს ყოვლისა არქიტექტორებისა და რესტავრატორების მიერ. სახელდობრ ისინი სხვებზე მწვავედ განიცდიდნენ ცივილიზაციისათვის დრამატულ შედეგებს, რომელსაც გამოიწვევდა მსოფლიოს კულტურის ძეგლების დაკარგვა და მათი მდგომარეობის გაუარესება, განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. იმ დროის კონკრეტულ დოკუმენტებს შორის, რომლებმაც შექმნეს მემკვიდრეობის დაცვის მეცნიერული საფუძვლები, აღსანიშნავია ვახსენოთ „ათენის ქარტია“, რომელიც მიღებული იქნა რესტავრატორების საერთაშორისო კონფერენციაზე 1931 წელს. ამ დოკუმენტში აღიარებულია გასული საუკუნეების მხატვრული მემკვიდრეობის ფასდაუდებელი ღირებულება და ისმის მოწოდება მათი გამოყენების ყველა შესაძლებლობის უზრუნველყოფისაკენ.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი იყო 1935 წელს ვაშინგტონში მიღებული დასკვნითი სპეციალური შეთანხმება კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ. მაგრამ კაცობრიობა ჯერ კიდევ არ იყო მზად ასეთი ჰუმანური კონცეფციის მისაღებად. შედეგად შეთანხმებას ხელი მოაწერა მხოლოდ ამერიკისა და ინდოეთის ქვეყნებმა და ვერ იქცა, როგორც ეს იყო ჩაფიქრებული, უნივერსალურ სამართლებრივ აქტად. მიუხედავად ამისა მან შეასრულა თავისი ისტორიული როლი შემდგომში მემკვიდრეობის იდეოლოგიის ფორმირების საქმეში, რომელიც შესაძლებელი გახდა რეალიზებული ყოფილიყო მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ იუნესკო-ს მოღვაწეობაში.

განსახილველ სფეროში იუნესკო-ს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აქცია გახდა 1954 წელს ჰააგაში მიღებული „შეიარაღებული კონფლიქტის შემთხვევაში კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ კონვენცია“. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ კონვენციამ სათავე დაუდო კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების თანამედროვე მსოფლიო მოძრაობას. ჰააგის კონვენციის მიღებით

ჩამოყალიბდა წარსულის კულტურის ძეგლების დაცვის საერთაშორისო სისტემა „კულტურული ფასეულობების“ ცნების მიღების საფუძველზე, რომელიც შემოდებულ იქნა საერთაშორისო პრაქტიკაში, სახელდობრ აღნიშნულ დოკუმენტში. ჰააგის კონვენციის მიერ გათვალისწინებული იყო „კულტურული ფასეულობების საერთაშორისო რეესტრის“ შემოღება, რომელიც გახდა მომავალი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხის წინა სახე.

შემდგომ წლებში იუნესკოში დამუშავებულ იქნა კულტურული ფასეულობების შენარჩუნების შესახებ რეკომენდაციების სპეციალური სერია, რომელიც ითვალისწინებდა სათანადო ზომებს ძეგლების ცალკეული კატეგორიების მიმართ ან მოდერნიზაციის გარკვეული სახეობების ჩარჩოებში. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს „რეკომენდაცია სილამაზის, პეიზაჟისა და ადგილმდებარეობის ხასიათის შენარჩუნების შესახებ“ (პარიზი, 1962 წლის 11 ნოემბერი).

10 წლის გასვლის შემდეგ მსოფლიოში მემკვიდრეობის დაცვის სფეროში რაოდენობრივი ცვლილებები გადადის თვისობრივში: იუნესკო-ს გენერალური კონფერენცია იღებს „მსოფლიო კულტურისა და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კონვენციას“ (პარიზი, 1972 წლის 16 ნოემბერი), რომელიც გახდა მემკვიდრეობის სფეროში გლობალური პოლიტიკის საფუძველი. ამავე დროს მიიღება „ნაციონალურ ასპექტში კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის დაცვის შესახებ რეკომენდაცია“, რომელიც გამიზნული იყო მემკვიდრეობის იდეოლოგიის პრაქტიკაში დანერგვაზე. ამ მომენტიდან მემკვიდრეობის ცნება (კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა) გახდა მსოფლიო პოლიტიკის საერთო აღიარებული კატეგორია, რომელიც ეფუძნება კულტურულ და ეკოლოგიურ სახელმწიფო პოლიტიკას.

დასახელებულმა კონვენციამ განაპირობა მემკვიდრეობის იდეოლოგიის განვითარებაში არნახული იმპულსი. დროთა განმავლობაში ბუნების, ისტორიისა და კულტურის ძეგლების კატეგორიას დაემატა არამატერიალური ფასეულობები. ამ ტენდენციის კანონზომიერ განვითარებას წარმოადგენს „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ საერთაშორისო კონვენციის“ (პარიზი, 2003 წლის 17 ოქტომბერი) მიღება, რომელმაც გააფართოვა კულტურული მემკვიდრეობის ცნება განსაკუთრებული მნიშვნელობის კულტურული ფასეულობების მასშტაბებამდე. აღნიშნულ კონვენციაში მოცემულია „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის“ კატეგორიის განმარტება, რომელიც ნიშნავს ადათ-წესებს, ზნე-ჩვეულებებს, წარმოდგენებისა და გამოსახვის ფორმებს, ცოდნას, გამოცდილებას და ა.შ. ასეთი არამატერიალური მემკვიდრეობა, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, მუდმივად განახლებადია საზოგადოების მიერ და წარმოშობს თვითმყოფადობის გრძნობას და ხელს უწყობს კულტურული მრავალფეროვნებისა და ადამიანის შემოქმედების მიმართ პატივისცემას.

მსგავსი აქტები აყალიბებდა მემკვიდრეობის სფეროში პოლიტიკას, დასაწყისში სტიქიურად, ხოლო დროთა განმავლობაში – სულ უფრო მიზანდასახულად. ტრადიციულად მის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს წარმოადგენს მემკვიდრეობის ობიექტების ნუსხის ფორმირება. ამ ნუსხის სათავეშია თვალსაჩინო, ცნობილი და ლეგენდარული „მსოფლიოს შვიდი საოცრება“ – ეგვიპტური პირამიდები გიზაში, სემირამიდას დაკიდული ბალები ბაბილონში (ერაყი), ჰალიკარნასის მავზოლეუმი (თურქეთი), ზევსის ქანდაკება ოლიმპოში (საბერძნეთი), როდოსის კოლოსი (კუნძული როდოსი), ალექსანდრიის შუქურა (ეგვიპტე), არტემიდას ტაძარი ეფესოში (თურქეთი). კულტურულ მემკვიდრეობაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ასევე „მსოფლიოს შვიდი ახალი საოცრება“: ტაჯ-მაჰალი აგრაში (ინდოეთი), ჩინეთის დიდი კედელი, ქალაქი პეტრა (იორდანია), კოლიზეუმი (იტალია), ჩიჩენ-იცას პირამიდა მექსიკაში, მაჩუ პიქჩუ (პერუ), ქრისტეს ქანდაკება (ბრაზილია).

მსოფლიოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ მრავალჯერ გაჟღერდა იუნესკო-ს (გაეროს მეცნიერების, განათლებისა და კულტურის კომიტეტი) მიერ. იმავდროულად შეიქმნა იგივე სახელწოდების სახელმწიფოთაშორისო კომიტეტი, რომელსაც ყოველწლიურად შეაქვს მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში დაახლოებით 30 ახალი ობიექტი. სადღეისოდ ამ ნუსხაში თითქმის 800-მდე

უმნიშვნელოვანესი ობიექტია შეტანილი. თანახმად 1972 წლის კონვენციისა, ნუსხაში შეტანილი ობიექტები იყოფა სამ ჯგუფად: 1. კულტურულ, 2. ბუნებრივ და 3. კულტურულ-ბუნებრივ ობიექტებად.

ზოგადი ტერმინი „მსოფლიო მემკვიდრეობა“ (World Heritage) ძეგლთა იერარქიაში ყველაზე საპატიო ადგილს იჭერს. ღირსშესანიშნაობა, რომელიც ამ ნუსხაში მოხვდება, სამართლიანად ითვლება უნიკალურად და მას ენიჭება მსოფლიოს საგანძურის წოდება, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შენარჩუნება დათვალიერების, შესწავლის, შემეცნებისა და გამოყენების მიზნით უდავოდ საჭიროა მომავალი თაობებისათვის. ნუსხაში მოხვედრა ნიშნავს, რომ ძეგლი არის კულტურისა და ისტორიის უმნიშვნელოვანესი ქმნილება. იგივე 1972 წლის კონვენციით კულტურული მემკვიდრეობის ქვეშ იგულისხმება:

- ძეგლები: არქიტექტურული ძეგლები, მონუმენტური ქანდაკებები და ფერწერის ნიმუშები, არქეოლოგიური ხასიათის ელემენტები, ან სტრუქტურები, წარწერები, მღვიმეები და იმ ჯგუფთა ელემენტები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;
- ანსამბლები: ცალკეული, ან გაერთიანებული საამშენებლო ჯგუფები, არქიტექტურა, ერთიანობა, ან კავშირი ლანდშაფტთან, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ხელოვნებისა და მეცნიერების თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება;
- ღირსშესანიშნავი ადგილები: ადამიანის ხელით შექმნილი, ან ერთობლივად ბუნებისა და ადამიანის მიერ ნამოქმედარი, აგრეთვე არქეოლოგიური ზონები, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიის, ესთეტიკის, ეთნოლოგიის, ან ანთროპოლოგიის თვალსაზრისით განსაკუთრებით უნივერსალური ღირებულება.

თითქმის იგივე სქემით ხდება ცნების „ბუნების მემკვიდრეობის“ (Natural Heritage) კონსტრუირება, რომლის ქვეშ მოიაზრება ბუნების უმნიშვნელოვანესი ობიექტები. დღეს (მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 28-ე სესიის შემდეგ, რომელიც დამთავრდა 2004 წლის ივლისში) ცნობილია, რომ 788 მსოფლიო მემკვიდრეობის ობიექტიდან, რომელიც მსოფლიოს 128 ქვეყანაშია დაფიქსირებული 611 მიეკუთვნება კულტურის ძეგლებს, 154 ბუნების, ხოლო 23 კულტურულ-ბუნებრივია.

საქართველოში 35 ათასი ისტორიული ძეგლია, რომელთაგან 5 ათასს სახელმწიფო იცავს. საქართველოს კულტურის ძეგლებიდან იუნესკოს ნუსხაში შევიდა ქალაქი მუზეუმი ღია ცის ქვეშ – მცხეთა; ბაგრატიის ტაძარი – ქუთაისში; გელათის სამონასტრო კომპლექსი და მაღალმთიანი სოფელი ზემო სვანეთში – უშგული. 2006 წელს განახლდა საქართველოს იუნესკოს საქმეთა ეროვნული კომისია, რომელმაც 2006-2007 წლების მონაწილეობის პროგრამის ფარგლებში შეარჩია და დაამტკიცა 10 პროექტი იუნესკოს პრიორიტეტების გათვალისწინებით, როგორცაა ალავერდის სამონასტრო კომპლექსი, გრემის მონასტერი, ნიკორწმინდა, სამთავისი, უფლისციხე, ვარძია, შატილი, ვანი და სხვა.

2001 წელს პირველად მსოფლიოს ისტორიაში იუნესკომ გამოაქვეყნა ხელთუქმნელი მუსიკალური და არამატერიალური შედეგების ნუსხა, რომელშიც შევიდა ქართული მრავალხმიანობა, რაც ქართული ხალხური პოლიფონიის დიდი გამარჯვება და აღიარება იყო.

2003 წელს შეიქმნა ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის ცენტრი. ამდენად ქართული ფოლკლორი და მრავალხმიანობა უნდა განვიხილოთ, როგორც კულტურული ტურიზმის ატრაქცია და მსოფლიო მემკვიდრეობის ნაწილი.

ყოველივე ზემოთქმულიდან ნათლად ჩანს თუ რაოდენ მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება და მისი გადაცემა მომავალი თაობებისათვის, რაც სიამაყის გრძნობით აღავსებს თითოეულ ადამიანს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კვარაცხელია ნ. 2009. *კულტურული ტურიზმი*. თბილისი.

2. Ineson Elizabeth M. 2005. *Current Issues in International Tourism Development*. Oxford.
3. Кудрявцев А. П., Мазуров Ю. Л. 2005. *Доверительное управление культурным и природным наследием в России*. Москва.
4. Максаковский В.П. 2004. *Всемирное культурное наследие как объект географического изучения*. Москва.
5. Goeldner Charles R., Ritchie J.R. Brent, McIntosh Robert W. 2000. *Tourism: Principles, Practices, Philosophies*.
6. www.unwto.org
7. www.museum.de